პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
9 დეკემბერი
1939 წ.
№ 282 (5682)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს   გ ა ზ ე თ შ ი:

სანიმუშოდ მოვაწყოთ აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ (მოწინავე)
ფინელი ხალხი მიესალმება თავის სახალხო მთავრობას (1-ლი გვ.)
ოპერატიული ცნობა ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის ორდენებისადა მედლების გადაცემა (1-ლი გვერდი)
უცხოეთში:
ლიტვის მთავრობის დეკლარაცია (მე-2 გვ.)
„დეილი უორკერის" მკითხველები სსრ კავშირის პოლიტიკის შესახებ (მე-2 გვ.)
ჩერჩილის გამოსვლა (მე-2 გვ.)
შეკითხვა თემთა პალატაში (მე-2 გვ.)
ომი დასავლეთ ევროპაში (მე-2 გვ.)
ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობა (მე-2 გვ.)
ინგლისელი მშრომელები იწონებენ სსრ კავშირის მოქმედებას (მე-2 გვ.)

სანიმუშოდ მოვაწყოთ აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ

ახლოვდება 24 დეკემბერი—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. ეს არჩევნები ჩატარდება მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის, გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. 24 დეკემბერს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ერთსულოვანი ხმის მიცემით საბჭოთა ამომრჩევლები მოახდენენ ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების ახალ, მძლავრ დემონსტრაციას.

ბედნიერად, საამურად ცხოვრობენ საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხებთან ერთად. წინასაარჩევნო კრებებზე და მიტინგებზე გამოდიან მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები და უსაზღვრო ერთგულების სიტყვებით მიმართავენ საქ. კ. პ. (ბ) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს და ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს.**

დიდი საბჭოთა ხალხის გრძნობები, ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობები გამოხატა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის ოთხიათასიანმა წინასაარჩევნო კრებამ, რომელმაც მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი **სტალინი.** ჭეშმარიტად შეუძლია იამაყოს სახელოვან ტრადიციების მქონე ამ ქარხნის კოლექტივს, ვინაიდან მას ხვდა უდიდესი პატივი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაესახელებინა ხალხთა დიდი ბელადი—მშობლიური **სტალინი.**

ასეთივე განუსაზღვრელი სიხარულითა და უდიდესი ენთუზიაზმით დაასახელეს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის № 2 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა — საბჭოთა მთავრობის სახელოვანი მეთაური ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი** და თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა - მოსამსახურეებმა — ქართველი ხალხის ღირსეული შვილი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია.**

როდესაც სტალინური კონსტიტუციის 3 წლისთავისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი მიძღვნილ თბილისის ლ. ბერიას სახელობის მოედანზე სამასათასიან მიტინგ-დემონსტრაციას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა აუწყა, რომ დიდმა **სტალინმა** თანხმობა მოგვცა კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე № 52 საარჩევნო ოლქში, მძლავრ ტალღად იქუხა ზღვა ხალხის აუწერელმა სიხარულმა. დიდხანს გუგუნებდა ტაში და ბრძენი ბელადისადმი მგზნებარე მისალმებათა შეძახილები. ასეთივე განუზომელი სიხარულით მოისმინეს თბილისის მშრომელებმა ცნობა ამხანაგ მოლოტოვის თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს თბილისის საბჭოს დეპუტატობაზე № 349 საარჩევნო ოლქში და ამხანაგ ბერიას თანხმობის შესახებ კენჭი იყაროს თბილისის საბჭოს დეპუტატობაზე № 247 საარჩევნო ოლქში.

7 დეკემბერს თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 52 საოლქო საარჩევნო კომისიამ დედაქალაქის მუშებისა და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი დელეგაციების თანდასწრებით თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 52 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. ასეთსავე საზეიმო ვითარებაში რეგისტრირებულ იქნა ამხანაგ მოლოტოვისა და ბერიას კანდიდატურები სათანადო საარჩევნო ოლქებში. ეს სასიხარულო ცნობა კვლავ აღაფრთოვანებს ქართველ ხალხს ახალი გამარჯვებებისათვის, ახალი ბოლშევიკური საქმეებისაკენ მოუწოდებს მათ.

ამჟამად მიმდინარეობს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატების შეხვედრა თავის ამომრჩევლებთან. დადგა საარჩევნო კამპანიის გადამწყვეტი ეტაპი, როდესაც მთელი სიღრმით უნდა გაჩაღდეს ბოლშევიკური აგიტაცია ადგილობრივ საბჭოებში სტალინური ბლოკის კანდიდატთა არჩევისათვის. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკმა გვიჩვენოს ახალი ბრწყინვალე გამარჯვება.

წამოყენებული კანდიდატების სასარგებლოდ სააგიტაციო მუშაობის სათავეში უნდა ჩაუდგნენ ნდობით აღჭურვილი პირები. მათ თავიანთ ირგვლივ უნდა დარაზმონ აგიტატორები და ყოველმხრივ გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატი, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახე, მისი წარსული და აწმყო, თუ რით ისახელა კანდიდატმა თავი ქვეყნის წინაშე.

საარჩევნო უბანი საარჩევნო კამპანიის ცენტრს წარმოადგენს. საჭიროა ფართოდ გავშალოთ მასობრივი სააგიტაციო მუშაობა, მეტი გასაქანი მივცეთ ნდობით აღჭურვილ პირებს — გააჩაღონ აგიტაცია დასახელებულ კანდიდატთა სასარგებლოდ. მაგრამ ნდობით აღჭურვილ პირთა მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი, თუ მათ კონკრეტულად დაეხმარებიან პარტიული ორგანიზაციები. პარტიული ორგანიზაციები არ უნდა დაკმაყოფილდნენ მარტო აგიტატორების წამოყენებით, არამედ უნდა უხელმძღვანელონ მათ, შეამოწმონ მათ მიერ გაწეული მუშაობა, დაეხმარონ ნდობით აღჭურვილ პირებს სააგიტაციო მუშაობის ბოლშევიკურად გაჩაღებაში.

მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში წარმატებით შეუდგნენ აგიტაციას დეპუტატობის კანდიდატთა სასარგებლოდ. მაგრამ ყველგან კარგი მდგომარეობა როდი გვაქვს. ზოგიერთ საარჩევნო უბანში და ოლქში ცუდად არის დაყენებული სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაცია სერიოზულად, მოფიქრებულად უნდა გავწიოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ბოლშევიკურად მოწყობილი საპროპაგანდო-სააგიტაციო მუშაობა უზრუნველჰყოფს არჩევნების წარმატებით ჩატარებას. წამოყენებულ კანდიდატთა ბიოგრაფიები შესანიშნავია. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ, გაიზარდნენ სტალინური ხუთწლედების განმავლობაში, თავი გამოიჩინეს, როგორც სოციალიზმისათვის თავდადებულმა მებრძოლებმა, როგორც სამშობლოს მამაცმა პატრიოტებმა.

ახლა მთავარი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სანიმუშოდ მოვაწყოთ აგიტაცია დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ არჩევნებისათვის მზადების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე და ამით უზრუნველვყოთ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება.

ოპერატიული ცნობა
ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარი 8 დეკემბრის განმავლობაში განაგრძობდა წინსვლას **ყველა** მიმართულებით.

კარელიის ყელზე — აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენი ჯარი, რომელმაც გუშინ გაარღვია ფინების მთავარი თავდაცვითი ზოლი მდინარე **ტაიპალეენიოკისა** და **ვუოქსის** წყლის სისტემაში, წარმატებით მიიწევდა წინ ჩრდილოეთის მიმართულებითა და ფლანგებზე.

არახელსაყრელი ამინდის გამო, ავიაციის საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა. ავიაცია მხოლოდ საზვერავ ფრენას აწარმოებდა.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბი უარჰყოფს

უცხოეთის პრესის ზოგიერთ ორგანოში დაიბეჭდა ცნობები, ვითომც ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარის ერთერთ მომქმედ ნაწილს გამოეყენებინოს სასკდომი ტყვიები „დუმ-დუმი" და მომწამვლელი ნივთიერებანი.

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ უცხოეთის პრესის ეს ცნობები ბოროტად შეთხზულ ჭორს წარმოადგენს. ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებს არც სასკდომი ტყვიები და არც გაზები არ გამოუყენებიათ და არც აპირებენ მათს გამოყენებას.

საკდესი უარჰყოფს

ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს ფინეთის ხელისუფლების განცხადებას და ავრცელებს ყალბ ცნობას, თითქოს რომელიღაც „ტყვე წითელარმიელებს" აღმოაჩნდათ „დოკუმენტები და რუკები", რომლებშიაც აღნიშნულია „ბომბარდირების ობიექტები შვეციის აღმოსავლეთ სანაპიროსა და ალანდის კუნძულებზე. სააგენტო დასძენს: ეს იმას მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირს განზრახული აქვს გაავრცელოს საომარი მოქმედება ატლანტის ოკეანის სანაპირომდეო".

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ამერიკის პატივცემული სააგენტოს ეს სისაცილო ცნობა სულ მთლად მოჭორილია, იგი თავით-ბოლომდე შეთხზულია თვით იუნაიტედ პრესის მიერ იმისათვის, რომ გააბრიყვოს გულუბრყვილო ადამიანები.

ფინელი ხალხი მიესალმება თავის სახალხო მთავრობას

ტერიოკი, 6 დეკემბერი (საკდესი). სახალხო მთავრობის შექმნის სასიხარულო ამბავი ფართოდ მოედო ფინეთის ყველა რაიონს, რომლებიც განთავისუფლებულია თეთრი ფინელებისაგან. მოსახლეობა აღტაცებით შეხვდა სახალხო მთავრობის დეკლარაციას და საბჭოთა კავშირსა და ფინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას. ფინეთის განთავისუფლებული რაიონების ქალაქებსა და სოფლებში განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიმდინარეობს მშრომელთა კრებები. მშრომელნი მხურვალედ მიესალმებიან ფინეთის სახალხო მთავრობას, რომელსაც სათავეში უდგას ოტო კუუსინენი, და ღრმა კმაყოფილების გრძნობით იწონებენ სახალხო მთავრობის დეკლარაციას და ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის შესახებ საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებას.

მოდის ამ კრებების მრავალი რეზოლუცია და მისალმება, სადაც გამოხატულია ფინელი ხალხის მშრომელი მასების ნება-სურვილი.

მაგალითად, სოფელ რაივოლის მშრომელნი სახალხო მთავრობისადმი გაგზავნილ მისალმებაში ამბობენ:

„მთელ აღმოსავლეთ ფინეთს ფართოდ მოედო სასიხარულო ცნობა, რომ ხალხის ნება-სურვილით შეიქმნა ფინეთის სახელმწიფოს ახალი დროებითი სახალხო მთავრობა. ფინეთის სახალხო მთავრობის დეკლარაცია და საბჭოთა კავშირისა და ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულება, დადებული ფინეთის სახალხო მთავრობისა და საბჭოთა მთავრობის მიერ, ისტორიულ დოკუმენტებს წარმოადგენენ, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ ახალი მთავრობის ნამდვილად სახალხო ხასიათს.

ეს დოკუმენტები გამოხატავენ ხალხის ნამდვილ ნება-სურვილს და აკმაყოფილებენ მის საუკუნეობრივ მისწრაფებებს.

ჩვენ, სოფელ რაივოლის მშრომელნი, ყველანი, ერთსულოვნად ვუერთდებით სახალხო მთავრობას, ვიწონებთ მის დეკლარაციას და ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის შესახებ საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებას.

მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ხალხის ნება-სურვილით შექმნილი მთავრობა უზრუნველჰყოფს ჩვენს თავისუფლებასა და ბედნიერებას და კაპიტალისტი მტაცებლებისაგან და თეთრგვარდიელთა თვითნებობისაგან იხსნის ჩვენს სამშობლოს. ჩვენ, როგორც ერთი კაცი, სიტყვას ვაძლევთ ჩვენს სახალხო მთავრობას, რომ ჩვენს ძალ-ღონეს, ხოლო თუ საჭირო გახდა—სიცოცხლესაც კი არ დავზოგავთ და, ფინეთის სახალხო არმიასთან ერთად, იარაღით ვიბრძოლებთ ომის პროვოკატორების — კაიანდერების, ტანერების, რიუტების ტირანიის წინააღმდეგ — თეთრგვარდიელთა სრულ განადგურებამდე, ჩაგრული ფინელი ხალხის სრული განთავისუფლებისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს სახალხო მთავრობას!

გაუმარჯოს სახალხო მთავრობის მეთაურს ოტო კუუსინენს!

გაუმარჯოს ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიას!"

მოისმინეს რა მოხსენება ფინეთის სახალხო მთავრობის შექმნისა და საბჭოთა კავშირსა და ფინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულების დადების შესახებ, სოფელ ლაუტსილტის მცხოვრებნი მიესალმებიან სახალხო მთავრობას, „რომელმაც თავისი მოღვაწეობის დასაწყისი იმით აღნიშნა, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა და დიდი ხნის ნანატრი მეგობრობის ხელშეკრულება დასდო დიდ საბჭოთა კავშირთან".

„20 წელზე მეტი ხნის წინათ, — ნათქვამია შემდეგ სოფელ ლაუტსილტის მოქალაქეთა კრების დადგენილებაში, — ფინეთის მშრომელი ხალხი ფინელ თეთრგვარდიელთა უღელქვეშ იტანჯებოდა.

წითელი არმიის ნაწილებთან შეხვედრამ, რომელიც დახმარებას უწევს ჩვენს ხალხსა და ჩვენს მთავრობას ფინეთის რეაქციული სამხედრო ხროვის სისხლიანი ბატონობის წინააღმდეგ, დაგვარწმუნა, რომ წითელი არმია ჩვენთან მოდის არა როგორც ფინელი ხალხის დამპყრობელი, არამედ როგორც მისი განმათავისუფლებელი მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან.

გაუმარჯოს ფინეთის თავისუფალ და დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!"

მისალმებანი ფინეთის სახალხო მთავრობისადმი და რეზოლუციები, რომლებიც მხურვალედ იწონებენ მის დეკლარაციას და საბჭოთა კავშირსა და ფინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის [illegible] დადებულ ხელშეკრულებას, მიღებულია აგრეთვე სოფელ კირკის, ხარმაას, ახიარვის, ტარტილის და სხვა ადგილების მცხოვრებთა კრებებისაგან.

თავის გადაწყვეტილებაში სოფელ ხარმაას მცხოვრებთა კრება აღნიშნავს:

„კაიანდერებმა, ტანერებმა და რიუტებმა — ფინეთის ამ წყეულმა და გაკოტრებულმა მმართველებმა — ყოველგვარი თავისუფლება წაართვეს ხალხს, ყოველ ნაბიჯზე ჰლახავდნენ ხალხის უფლებებს, ახრჩობდნენ გლეხებს კაბალური გადასახადებით. ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას ოტო კუუსინენი, ხალხის, მშვიდობიანობის, დემოკრატიული და დამოუკიდებელი ფინეთის მთავრობაა. თავის დეკლარაციაში მან გამოხატა ჩვენი აზრები, ჩვენი გრძნობები, ჩვენი მისწრაფებანი და იმედები. განსაკუთრებული სიხარულით აღვნიშნავთ, რომ სახალხო მთავრობამ თავის დეკლარაციაში ერთერთ ამოცანად დაისახა — მოახდინოს მსხვილ მემამულე-მიწათმფლობელთა მიწის კონფისკაცია და გადასცეს იგი უმიწო და მცირემიწიან გლეხებს, გაათავისუფლოს გლეხები გადასახადთა ნარჩენის გადახდისაგან, ყოველნაირი დახმარება გაუწიოს მცირემიწიან გლეხთა მეურნეობის აღორძინებას, უწინარეს ყოვლისა, დამატებითი მიწისა და საძოვრების მიცემით. ჩვენ ამას ვერასოდეს ვერ მივიღებდით ხალხისათვის საძულველი კაიანდერებისა, ტანერებისა და რიუტებისაგან".

განთავისუფლებულ კუნძულებზე

კრონშტადტი, 6 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორ.). იმ კუნძულებზე, რომლებსაც ჩაკეტილი ჰქონდათ ფინეთის ყურის აღმოსავლეთ ნაწილის გასასვლელი, წითელი ბაირაღები ფრიალებს. აქ, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ზარბაზნები გრიალებდა, სანიმუშო წესრიგი მყარდება.

ადგილობრივი მცხოვრებნი, ვინც კი მოახერხა თავი დაეღწია თეთრფინელ ჟანდარმებისათვის, რომლებმაც დახვრეტის მუქარით მოახდინეს მოსახლეობის ევაკუაცია, სიხარულით იწყებენ ახალ ცხოვრებას.

... უკვე საათზე მეტია საუბარი გრძელდება. მოხუცი მეთევზე აღელვებულია. იგი მთლად შეუპყრია საამო აზრებსა და გრძნობებს. მეთევზე თითებზე ჩამოსთვლის და აღელვებით ლაპარაკობს:

— გამიმასპინძლდნენ... არ მახსოვს, რომ ოდესმე ასე გემრიელად მეჭამოს. ალერსიანად მელაპარაკებოდნენ, ოჯახში არაფრისთვის ხელი არ უხლიათ... გმადლობ ყოველივე ამისთვის!

მოხუცი მიდის; კარამდე მივიდა, წუთით შეჩერდა და კვლავ ალაპარაკდა:

— თქვენ, როგორც ვხედავ, საწყალი ხალხისათვის ზრუნავთ და ყველაფერს მისთვის აკეთებთ? ხომ არ შეიძლება იმ ნაპირიდან, კოტკოდან, მალე გადმოიყვანოთ ჩემი დედაბერი? ჟანდარმებმა წაიყვანეს იგი...

მეთევზე დაამშვიდეს:

— ყველაფერს გავაკეთებთ, რათა დავაბრუნოთ არა მარტო შენი ცოლი, არამედ აგრეთვე ყველანი, ვინც დაზარალდა ფინეთის ხალხის ჯალათებისაგან.

* * *

ტყვეები, რომლებიც ჩვენმა მეზღვაურებმა ხელთ იგდეს, აღტაცებით ლაპარაკობენ საბჭოთა საზღვაო ავიაციაზე; ისინი გაოცებული არიან მისი ძლიერებით, მფრინავთა ოსტატობითა და სიმამაცით. მაგრამ ყველაზე მეტად აოცებს მათ ადამიანური მზრუნველობა და გულითადობა, რაც ტყვეების მიმართ გამოიჩინეს სწორედ იმ „მოსკალებმა", რომელთა „მხეცობაზე" ასე ბევრს და გაბოროტებით ელაპარაკებოდნენ მათ ფინელი ოფიცრები.

მეთევზეები მოგვითხრობენ, რომ ჰოგლანდის, ლავანსაარისა და სხვა კუნძულებზე ბალტიის ფლოტის მანევრებისა და ვარჯიშობის დღეებში დაძრწოდნენ სხვადასხვა ჯურის ჯაშუშები. ისინი აქ თავს იყურიდნენ ტურისტების, მოაგარაკეების სახით.

ამჟამად ფინეთის ყურის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულები სამუდამოდ დახურულია ამ ვაჟბატონებისათვის.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

7 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ე. ბადაევმა ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთ.

პირველი ცხენოსანი არმიის შექმნის 20 წლისთავის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის დაცვის დროს საბრძოლო დამსახურებისათვის და საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის უმაღლესი ჯილდოები ეძლევათ წარმომადგენელთა საშუალებით სახელოვან ცხენოსან დივიზიებს.

ლენინის ორდენი ეძლევა პარხომენკოს სახელობის მე-14 ცხენოსან დივიზიას, რომელიც წინათ დაჯილდოებული იყო წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით.

წითელი ვარსკვლავის ორდენი ეძლევათ: დონის კაზაკთა ამხ. ვოროშილოვის სახელობის მე-4 დივიზიას, ყუბან-თერგის კაზაკთა ამხ. ბუდიონის სახელობის ჩონგარის მე-6 დივიზიას, მოროზოვის სახელობის მე-11 ცხენოსან დივიზიას და ამხ. სტალინის სახელობის მე-36 ცხენოსან დივიზიას. ეს დივიზიები თავიანთი დიდი საბრძოლო დამსახურებისათვის წინათ დაჯილდოებული იყვნენ წითელი დროშის ორდენით და ლენინის ორდენით.

ორდენოსანი დივიზიის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში მხურვალე მადლობა გამოსთქვეს მაღალი ჯილდოსათვის და პირობა დასდეს, რომ ღირსეულად გაამართლებენ ამ ჯილდოს, კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ხოლო თუ საჭირო იქნება,—ბრძოლის ველზედაც.

— პირველი ცხენოსანი არმიის 20 წლისთავთან დაკავშირებით, პირველი ცხენოსანი არმიის ორგანიზაციის საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. სიმონ მიხეილის-ძე ბუდიონი, — კითხულობს ამხ. გორკინი დაჯილდოების შესახებ ბრძანებულების ტექსტს. იგრიალა ტაშმა. დამსწრენი მხურვალე ოვაციას უმართავენ საყვარელ საბჭოთა სარდალს, ამხანაგების სტალინისა და ვოროშილოვის სახელოვან თანამებრძოლს. ორდენის გადაცემისას ოვაციამ ახალი სიძლიერით იფეთქა.

შემდეგ, საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მიკუთვნების სიგელი, ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი" ეძლევათ: კაპიტანს ამხ. ნ. პ. ილჩენკოს და ლეიტენანტს ამხ. ა. პ. პიანკოვს; მათვე ეძლევათ წითელი დროშის ორდენი, რომლითაც ისინი წინათ დაჯილდოებული იყვნენ.

საბჭოთა კავშირის გმირებისათვის წარჩინების დამატებითი ნიშნების შესახებ ბრძანებულების შესაბამისად, მედალი „ოქროს ვარსკვლავი" ეძლევათ საბჭოთა კავშირის გმირებს — დივიზიის მეთაურს ამხ. მ. პ. პეტროვს, წითელარმიელს ამხ. ს. გ. გუდენკოს, უმცროს მეთაურს კ. მ. იავუდინს და ბრიგადის მეთაურს ამხ. ა. ი. გუსევს.

საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და გულადობისა და მამაცობისათვის, რომელიც ამასთან გამოიჩინეს, ჯილდო ეძლევა წითელი არმიის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა დიდ ჯგუფს.

ორდენები და მედლები ეძლევა იმ მებრძოლთა და მეთაურთა ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, გულადობისა და მამაცობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს ხასანის ტბის რაიონის დაცვის დროს, აგრეთვე მთელ რიგ სხვა სამხედრო მუშაკებს.

დაჯილდოებულ სამხედრო მუშაკთა სახელით მოკლე სიტყვა წარმოსთქვეს საბჭოთა კავშირის გმირმა ლეიტენანტმა ამხ. ა. პ. პიანკოვმა და I რანგის სამხედრო ინჟინერმა ამხ. ი. ა. პრაჩიკმა.

შემდეგ ამხ. ა. ე. ბადაევმა გადასცა ლენინის ორდენი მოსკოვის სახელმწიფო ცირკს და შრომის წითელი დროშის ორდენი—ლენინგრადის სახელმწიფო ცირკს, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან დიდი დამსახურებისათვის საბჭოთა საცირკო ხელოვნების განვითარებისა და საბჭოთა ცირკის მსახიობთა კადრების აღზრდის საქმეში. ორდენები გადაეცათ ამ სახელოვან კოლექტივთა წარმომადგენლებს, რომელთა სახელით მხურვალე მადლობა გამოსთქვეს რსფსრ სახალხო არტისტმა ამხ. ბ. ა. ედერმა და მსახიობმა ამხ. მ. ნ. ტუგანოვმა. ისინი პირობას იძლევიან, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიითა და ენთუზიაზმით იმუშავებენ საბჭოთა საცირკო ხელოვნების მხატვრული ღირებულების ასამაღლებლად, მისი სრულყოფისათვის, საბჭოთა ცირკის ახალ ნიჭიერ მსახიობთა აღსაზრდელად.

საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, საბჭოთა ცირკის 20 წლისთავთან დაკავშირებით, ჯილდო გადაეცათ სახელმწიფო ცირკების მთავარი სამმართველოს მსახიობებს და მუშაკებს. დაჯილდოებულთა შორის არიან—ჩვენი საბჭოთა ცირკის უაღრესად პოპულარული და საყვარელი მსახიობები: რსფსრ სახალხო არტისტი ამხ. ბ. ა. ედერი, რსფსრ დამსახურებული არტისტები ამხ. მ. ნ. რუმიანცევი, ლ. კ. ფერონი - ტანტი, ე. კ. რენარდ-კიო, მსახიობები ტ. ა. და ძ. ა. პტიცინები და სხვები.

ორდენები და მედლები გადაეცათ აგრეთვე სამეურნეო და კულტურული დარგის მთელ რიგ მუშაკებს.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. ა. ე. ბადაევმა ამხანაგებს მიულოცა მთავრობის მაღალი ჯილდოს მიღება და შემდგომი წარმატებები უსურვა მათს მუშაობაში საბჭოთა ხალხისა და კომუნიზმის საქმის სასარგებლოდ. (საკდესი).

ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის ჩამოსვლა მოსკოვში

7 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა ესტონეთის არმიის მთავარსარდალი, გენერალი ლაიდონერი პოლკოვნიკ საარსენის, კაპიტან იაქსონისა და ბ-ნი კურესის თანხლებით.

გენერალ ლაიდონერთან ერთად ჩამოვიდნენ—სსრ კავშირის სამხედრო ატაშე ესტონეთში პოლკოვნიკი ამხ. ე. ე. ცუკანოვი და ესტონეთის სამხედრო ატაშე სსრ კავშირში პოდპოლკოვნიკი სინკა, რომლებიც გენერალ ლაიდონერს ახლდნენ საზღვრიდან.

ოქტომბრის ვაგზალზე გენერალ ლაიდონერს შეხვდნენ — მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. ი. ვ. სმოროდინოვი, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის ადიუტანტი, კორპუსის მეთაური ამხ. რ. პ. ხმელნიცკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, ქ. მოსკოვის კომენდანტი, ბრიგადის მეთაური ამხ. ვ. ა. რევიაკინი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ამხ. გ. ი. ოსეტროვი, ლატვიის სამხედრო ატაშე პოდპოლკოვნიკი ზალიტისი, ესტონეთის მისიის მთელი შემადგენლობა ელჩის ბ-ნი რეის მეთაურობით.

ოქტომბრის ვაგზლის ბაქანი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის ბაირაღებით, გამოყვანილი იყო საპატიო ყარაული.

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის მიერ ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის მიღება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხ. **ვოროშილოვმა** მიიღო გენერალი **ლაიდონერი** ესტონეთის ელჩის ბ-ნი **რეის**, პოლკოვნიკ **საარსენის**, პოდპოლკოვნიკ **სინკისა** და კაპიტან **იაქსონის** თანხლებით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარისა და სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის მიღება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ და სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. **მოლოტოვმა** მიიღო გენერალი **ლაიდონერი** ესტონეთის ელჩის ბ-ნი **რეის** თანხლებით.

სადილი თავდაცვის სახალხო კომისართან საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. კ. ე. ვოროშილოვთან ესტონეთის არმიის მთავარსარდლის გენერალ ლაიდონერის პატივსაცემად

ა. წ. 7 დეკემბერს თავდაცვის სახალხო კომისარმა საბჭოთა კავშირის მარშალმა **კ. ე. ვოროშილოვმა** სადილი გამართა ესტონეთის არმიის მთავარსარდლის, გენერალ **ლაიდონერის** პატივსაცემად.

სადილს დაესწრნენ: ესტონეთის ელჩი ბ-ნი **რეი**, პოლკოვნიკი საარსენი, ესტონეთის მისიის მრჩეველი ბ-ნი ოიანსოონი, ესტონეთის მისიის სამხედრო ატაშე ბ-ნი სინკა, კაპიტანი ბ-ნი იაკსონი, ჟურნალისტი ბ-ნი კურესი, ლიტვის მისიის სამხედრო ატაშე ბ-ნი ზასკევიჩიუსი, ლატვიის მისიის სამხედრო ატაშე ბ-ნი ზალიტისი.

ხსენებულ პირებს გარდა, სადილს დაესწრნენ ამხანაგი **ი. ბ. სტალინი**, სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი**, სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. **ნ. გ. კუზნეცოვი**, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. **ს. მ. ბუდიონი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვ. პ. პოტიომკინი**, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსი, არმიის 1-ლი რანგის სარდალი ამხ. **ბ. მ. შაპოშნიკოვი**, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, არმიის მე-2 რანგის სარდალი ამხ. **ა. დ. ლოქტიონოვი**, თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, დივიზიის მეთაური ამხ. **ი. ი. პროსკუროვი**, სამხედრო - საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილე, ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. **გ. ი. ლევჩენკო**, კორპუსის მეთაური ამხ. **რ. პ. ხმელნიცკი**, დივიზიის მეთაური **პ. ა. ალექსეევი**, ამხ. **ი. ი. ლაპშევი**, ამხ. **ა. ა. სობოლევი**, ბრიგადის მეთაური ამხ. **ვ. ა. რევიაკინი**, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე ესტონეთში პოლკოვნიკი ამხ. **ე. ე. ცუკანოვი**, ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი**, ამხ. **ა. პ. ვასიუკოვი**, პოლკოვნიკი **გ. ი. ოსეტროვი**, ამხ. **ბ. გ. პონტიკოვი**, მაიორი **ნ. ვ. ბარჩუკოვი**.

სადილის დროს ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა და გენერალმა **ლაიდონერმა** მისასალმებელი სიტყვებით მიჰმართეს ერთმანეთს. სადილი გულითად და მეგობრულ ატმოსფეროში ჩატარდა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და მანჯოუ-გოს შორის კონფლიქტის რაიონში საზღვრის დამზუსტებელი შერეული კომისიის მუშაობის დაწყება ქ. ჩიტაში

ჩიტა, 8 დეკემბერი (საკდესი). 1939 წლის 7 დეკემბერს ქალაქ ჩიტაში სსრ კავშირის ტერიტორიაზე გაიხსნა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთისა და იაპონია-მანჯურიის შერეული კომისიის კონფერენცია. ეს კომისია შექმნილია მოლოტოვისა და ტოგოს იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც შეეხება საზღვრების დაზუსტებას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და მანჯოუ-გოს შორის ამასწინათ მომხდარი კონფლიქტის რაიონში.

სხდომა გახსნა სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებულმა ბრიგადის მეთაურმა მ. ბოგდანოვმა. ურთიერთ მისალმებისა და მთავრობის რწმუნებათა ერთმანეთისათვის გაცნობის შემდეგ, კომისია შეუდგა კომისიის შემდგომი მუშაობის წესრიგისა და პროცედურების განხილვას.

თეთრი ფინები ხოცავენ გლეხებს

მურმანსკის მიმართულება, 6 დეკემბერი (საკდესის სპეცკორი). ჯარის ის ნაწილი, სადაც კომისრად არის ამხ. ისაევი, თეთრ ფინელებთან ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, სოფელ პარკინოში შევიდა. ყველაფერი მოწმობდა, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი აჩქარებით მიდიოდნენ. ბევრ სახლში ღუმელები ენთო და იქ საჭმელი მზადდებოდა. თავლებში ვერ მოესწროთ ძროხების მოწველა და იქ ნახევრადსავსე საწველელები იდგა.

წითელი არმიის მებრძოლებმა მიიღეს ზომები მიტოვებული ქონების დასაცავად და დაიწყეს დაკავებული სოფლის შემოვლა. შემოვლის დროს ისინი წააწყდნენ ფინელი გლეხის გვამს. გლეხს შუბლი ტყვიით ჰქონდა განგმირული. ის სულ ცოტა ხნის წინად იყო მოკლული. ჭრილობიდან სისხლი ჯერ კიდევ ჟონავდა.

პარკინოში წითელი არმიის ნაწილის შესვლის 2 საათის შემდეგ დაიწყეს დაბრუნება მცხოვრებლებმა. მათ გვიამბეს, თუ როგორ იქნა მოკლული მათი თანასოფლელი.

— მას შემდეგ, რაც თეთრგვარდიელმა ფინებმა გადასწყვიტეს დაეტოვებინათ სოფელი, — მოგვითხრობდნენ უკან დაბრუნებულნი, — ოფიცრებმა ქუჩაში თავი მოუყარეს მთელ მოსახლეობას და წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ გაჰყოლოდნენ მათ. მაგრამ პარკინოს მცხოვრებლებმა სრულიადაც არ მოისურვეს თავიანთი სახლკარის მიტოვება.

— ჩვენ არ გვინდა სადმე, გაურკვეველ ადგილას წასვლა, — სთქვა ერთერთმა გლეხმა, — აქ დარჩენას ვსინჯავთო.

მაშინ ოფიცერმა შუბლში მიახალა ტყვია გლეხს.

— ასე მოუვა ყველას, ვინც ჩვენთან არ წამოვა, — განაცხადა მკვლელმა.

გლეხები იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ. გაქცევის დროს ისინი ყოველ მოხერხებულ შემთხვევას ეძებდნენ, რომ ჩამორჩენილიყვნენ, დამალოდნენ ფინელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს და პარკინოში დაბრუნებულიყვნენ.

წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები გულთბილად ხვდებიან გლეხებს.

ამიერ-კავკასიის რკინიგზამ ვადამდე შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა

8 დეკემბერს დილით ამიერკავკასიის რკინიგზამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა მშრალი ტვირთის დატვირთვისა და ნავთის პროდუქტების ჩასხმის ხაზით. გეგმის გადამეტებით ჩასხმულია 147 ცისტერნი ნავთპროდუქტები და დატვირთულია 12 ათასი ვაგონზე მეტი მშრალი ტვირთი. (საკდესი).

ლიტვის მთავრობის დეკლარაცია

კაუნასი, 7 დეკემბერი (საქდესი). გუშინ შესდგა სეიმის სხდომა, რომელზეც პრემიერ მინისტრი მერკისი დეკლარაციით გამოვიდა.

„ახალმა მთავრობამ, — განაცხადა მერკისმა, — განსაკუთრებით მძიმე ვითარებაში დაიწყო თავისი მოქმედება. ომი ფართოვდება და მისი შედეგები სულ უფროდაუფრო ეხება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ასეთ მშფოთვარე დროში ყოველი მთავრობის ძირითადი ამოცანაა შეინარჩუნოს სახელმწიფოსა და ხალხის თავისუფლება და სიცოცხლე. ამ მიზანს შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელი ხალხი, ყველა მისი ფენა გაიმსჭვალებიან რწმენით, რომ გამარჯვების საფუძველია საზოგადოებრივობისა და მთავრობის თანამშრომლობა. ამიტომ მთავრობამ აირჩია ერთობისა და კონსოლიდაციის გზა. მთავრობას ეჭვი არ ებადება, რომ მთელი ხალხის დახმარებით ეს სიძნელეები გადალახული იქნება. მე არ მოგახსენებთ აქ მთავრობის მოქმედების მთელ პროგრამას. ეს პროგრამა გატარდება სახელმწიფო წესწყობილების ძირითად დებულებათა და რესპუბლიკის პრეზიდენტ სმეტონის იმ სიტყვის ჩარჩოებში, რომელიც წარმოსთქვა მან ამა წლის 29 ნოემბერს.

ლიტვის მთავრობა ამიერიდან სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში დაიცავს ლიტვის ხალხის უფლებებს და ზუსტად შეასრულებს თავის ვალდებულებებს იმ ხელშეკრულებების თანახმად, რომლებიც დადებულია ლიტვასა და სხვა სახელმწიფოებს შორის. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ამა წლის 10 ოქტომბერს მეგობრულ საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება. მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა კარგი მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს ყველა სახელმწიფოსთან და განსაკუთრებით თავის უშუალო მეზობლებთან. ლიტვას გულითადი, მეგობრული ურთიერთობა ექნება ლატვიასთან და ესტონეთთან, როგორც ეს აქამდე იყო.

თვითეულ მოქალაქეს, რომელიც რაიმე სასარგებლო სამუშაოს ასრულებს, უნდა ახსოვდეს, რომ ის სახელმწიფოს განმტკიცების საქმეს ასრულებს. მხოლოდ ამგვარად შევძლებთ რაც შეიძლება უკეთ უზრუნველვყოთ სახელმწიფოს უშიშროება და ხალხის თავისუფლება, რომლის სადარაჯოზეც სდგანან ჩვენი შეიარაღებული ძალები“.

შემდეგ მერკისი შეეხო ლიტვის მთავრობის საშინაო ამოცანებს. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია გადაჭრილ იქნას მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ყოფილი პოლონეთიდან ლიტვაში მრავალი ლტოლვილის ჩამოსვლასთან, აგრეთვე ლიტვაში ინტერნირებულ პოლონელ ჯარისკაცთა ყოფნასთან. ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის ლიტვისათვის გადაცემამ, — სთქვა მერკისმა, — მრავალი ახალი პრობლემა წამოაყენა მთავრობის წინაშე. ვაჭრობა და მრეწველობა ვილნოში და ვილნოს ოლქში არ შეიძლებოდა განვითარებულიყო იმ პერიოდში, როცა ის პოლონეთს ეკუთვნოდა; ომის დროს მეურნეობის ეს დარგები კიდევ უფრო დაეცა და ნაწილობრივ დეზორგანიზებულიც კი იყო. მერკისმა აღნიშნა ის ღონისძიებები, რომლებიც მიღებული უნდა იქნას ვილნოში და ვილნოს ოლქში მეურნეობის აღსადგენად. შემდეგ ის შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ისახავს მთავრობა სოფლის მეურნეობის, სოციალური კანონმდებლობის, ტრანსპორტის განვითარებისა და სხვა დარგებში.

მერკისის დეკლარაცია დაამტკიცა სეიმმა.

„დეილი უორკერის“ მკითხველები სსრ კავშირის პოლიტიკის შესახებ

ლონდონი, 6 დეკემბერი (საქდესი). „დეილი უორკერი“ აქვეყნებს ამონაწერებს თავის მკითხველთა წერილებიდან. „ზოგიერთი სახელმწიფო ფინეთს სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იყენებს“, — აღნიშნავს ერთი მკითხველი.

„ნუ თუ, — კითხვას იძლევა მეორე მკითხველი, — ლეიბორისტთა ლიდერებს დაავიწყდათ, თუ რა როლს თამაშობდა საბჭოთა კავშირი ამ უკანასკნელი 6 წლის მანძილზე საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეში? ბევრი ფიქრი არ არის საჭირო, რათა მივხვდეთ, რომ ფინეთს დანაშაულებრივი თამაშისაკენ საერთაშორისო კაპიტალიზმი უბიძგებდა. ისტორია დაგვანახვებს, რომ სსრ კავშირი მართალი იყო“.

მესამე მკითხველი სწერს:

„ჩვენ აღფრთოვანებული ვართ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა სიბრძნითა და მათი მტკიცე გადაწყვეტილებით აღკვეთონ კაპიტალისტების, სოციალიზმის მტრების ყოველგვარი ოინები“.

საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის მიტინგები

ლონდონი, 6 დეკემბერი (საქდესი). ბრისტოლში (ინგლისი) გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს საბჭოთა კავშირს და სავსებით მოიწონეს მოქმედება წითელი არმიისა, რომელიც დახმარებას უწევს ფინელ ხალხს.

ანალოგიური გადაწყვეტილებანი მიღებულია აგრეთვე ნიუკასლში გამართულ რამდენიმე მიტინგზე.

გეიტსხედში (დიურგემი) გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე მიღებულია რეზოლუცია, რომელიც იწონებს საბჭოთა მთავრობის მოქმედებას, რაც მიმართულია „სოციალიზმისა და მთელი მსოფლიოს მუშათა ინტერესების დაცვისაკენ“.

„დეილი უორკერი“ ტანერის როლის შესახებ

ლონდონი, 6 დეკემბერი (საქდესი). „დეილი უორკერმა“ გუშინ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კარელიის მიღწევებისადმი.

გაზეთი მოწინავეში აღნიშნავს, რომ ფინეთის მთავრობის პოზიცია სსრ კავშირთან მოლაპარაკების დროს განსაკუთრებით მტრული გახდა მას შემდეგ, რაც დელეგაციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ტანერი. „იბადება კითხვა — ხომ არ მოუხდენია ლონდონს ზეგავლენა ფინეთის მთავრობაზე და ხომ არ წარმოადგენს ტანერი იარაღს უცხოელ პოლიტიკურ ინტრიგანთა ხელში?“ — კითხვას იძლევა გაზეთი.

ჰორტიმ მიიღო სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი

ბუდაპეშტი, 7 დეკემბერი (საქდესი). დღეს უნგრეთის რეგენტმა ჰორტიმ მიიღო საბჭოთა ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი შარონოვი, რომელმაც გადასცა მას თავისი რწმუნების სიგელი. რწმუნების სიგელების ჩაბარების შემდეგ ჰორტიმ და ამხ. შარონოვმა სიტყვით მიმართეს ერთმანეთს.

ჩერჩილის გამოსვლა

ლონდონი, 7 დეკემბერი (საქდესი). გუშინ ინგლისის საზღვაო მინისტრი ჩერჩილი თემთა პალატაში გამოვიდა და მიმოხილვა გაუკეთა ზღვაზე წარმოებულ საომარ მოქმედებას.

„მტერი უმთავრესად ზღვაზე ატარებდა ღონისძიებებს, — განაცხადა ჩერჩილმა, — რათა ზიანი მიეყენებინა ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის და კომერციული ნაოსნობისათვის. როგორც ცნობილია საზღვაო ვაჭრობაზეა დამოკიდებული არა მარტო ინგლისი, არამედ მთელი ბრიტანეთის იმპერია. ზღვაზე ყოველთვის იმყოფება 2 ათასი ჩვენი გემი და ყოველდღიურად დაახლოებით 100-150 გემი შემოდის და გადის ჩვენი ნავსადგურებიდან. ეს ინტენსიური ნაოსნობა შენარჩუნებული უნდა იქნას გერმანიის წყალქვეშა ნავების მხრივ წარმოებული მუდმივი იერიშების პირობებში“.

შემდეგ ჩერჩილმა აუწყა თემთა პალატას ბრძოლის იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია გერმანიის წყალქვეშა ნავებისა და მაგნეტური ნაღმების წინააღმდეგ. სავაჭრო გემების უმრავლესობას ახლავს თან სამხედრო გემები. დიდი სავაჭრო გემები შეიარაღებულია. ამჟამად უკვე მთლიანად შეიარაღებულია 1.000 გემი. ინგლისის გემები წარმატებით ებრძვიან გერმანიის წყალქვეშა ნავებს. უკანასკნელი კვირის განმავლობაში განადგურებულია 5 წყალქვეშა ნავი, მაგრამ, — განაცხადა ჩერჩილმა, — გერმანიის წყალქვეშა ნავების მოქმედება სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს ინგლისის ფლოტისათვის.

— „მე უნდა გავიმეორო ჩემი გაფრთხილება, — ამბობს ჩერჩილი, — რომ უნდა მოველოდეთ სისტემატურ ზარალს და შესაძლებელია ცალკეული კატასტროფებიც, აგრეთვე ისიც, რომ ყოველგვარ შეცდომას ჩვენი მხრივ, რაც იმით გამოიხატება, რომ ჩვენ ვერ ვიმოქმედებთ პირობების შესაბამისად, შეუძლია დაუყოვნებლივ წარმოშვას სერიოზული საფრთხე“.

შემდეგ ჩერჩილი შეჩერდა იმ ზარალზე, რომელიც ინგლისის ფლოტმა ნახა ომის პირველი სამი თვის განმავლობაში.

„ჩვენ რომ ომი დავიწყეთ, — სთქვა ჩერჩილმა, — ჩვენს განკარგულებაში იყო 21 მილიონი ტონა საერთო წყალწყვის სავაჭრო ფლოტი. ომის პირველი 3 თვის განმავლობაში ჩვენ დაახლოებით 340 ათასი ტონა დავჰკარგეთ. მაგრამ ეს ზარალი ჩვენ 280 ათასი ტონის რაოდენობით შევივსეთ, როგორც ჩვენს განკარგულებაში გადმოსული ნეიტრალური გემების ხარჯზე, ისე გერმანიის გემების ხელში ჩაგდებით და ახალი გემების მშენებლობით. ამრიგად, ჩვენი წმინდა ზარალი 60-მდე ათას ტონას შეადგენს. სამხედრო გემებს, რომლებიც თავდაცვითს სამსახურს ეწევიან, პროპორციულად მუდამ უფრო მეტი ზარალი მოსდით, ვიდრე სავაჭრო გემებს“.

3 თვის ომის განმავლობაში, — სთქვა ჩერჩილმა, — ინგლისმა დაჰკარგა ავიამზიდი „კარეიჯესი“, სახაზო გემი „როიალ ოკი“, ორი საესკადრო ნაღმოსანი და წყალქვეშა ნავი, რომელთა საერთო ტონაჟი 50-მდე ათას ტონას შეადგენს. ამას გარდა დაიღუპა შეიარაღებული დამხმარე კრეისერი „რაუალპინდი“.

დასასრულ ჩერჩილი შეჩერდა ინგლისის მთავრობის ღონისძიებებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ გერმანიის ექსპორტთან ბრძოლას. ეს ბრძოლა კვლავაც იწარმოებს, მიუხედავად იმ ზიანისა, რომელსაც განიცდიან ნეიტრალური ქვეყნები.

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 7 დეკემბერი (საქდესი). თემთა პალატის სხდომაზე 5 დეკემბერს დეპუტატმა დობიმ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ მთავრობა შეუწყნარებლად აჭიანურებს არმიაში გაწვეულთა ცოლებისათვის დახმარების გაცემას. დობიმ განაცხადა, რომ მის საარჩევნო ოლქში,—ქალაქ როტერჰემში (იორკშირის საგრაფო) არიან ისეთი ქალები, რომელთა ქმრები აგვისტოდან იმყოფებიან არმიაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქამდე არავითარი დახმარება არ მიუღიათ სახელმწიფოსაგან. ზოგიერთ მათგანს 8-9 ბავშვი ჰყავს.

„იმ კვირის დამლევს, — განაცხადა დობიმ, — მე ვნახე ჩემს საარჩევნო ოლქში ისეთი ქალები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ თავიანთი ნივთები დაეგირავებინათ ლომბარდში, რომ სურსათი შეეძინათ ბავშვებისათვის. მათ ქმრებს, რომლებიც სექტემბრიდან იმყოფებიან არმიაში ჯამაგირს არ აძლევენ“.

დობის გამოსვლა რამდენჯერმე იყო შეწყვეტილი კონსერვატორების შეძახილებით. სპიკერმა წინადადება მისცა დობის დასტოვოს სხდომა.

სამხედრო მინისტრმა ჰორ-ბელიშამ არსებითად პასუხი არ გასცა დობის შეკითხვაზე.

ნორვეგიელი მუშები და ფინეთის „მთავრობა“

ოსლო, 7 დეკემბერი (საქდესი). როგორც გაზეთი „არბაიდერენი“ იუწყება, ჰამერფესტის (ჩრდილოეთ ნორვეგია) მშენებელ მუშათა კავშირის წევრმა მუშებმა თავიანთ კრებაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია: „კრების აზრით, შექმნილი მდგომარეობა წარმოადგენს ფინეთის მმართველთა პროვოკაციული მოქმედების შედეგს. ამიტომ ფინეთის „მთავრობამ“ თვითონ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა თავისი მოქმედებისათვის“.

„გუშინდელნი“ რუსთაველის თეატრში

დღეს რუსთაველის სახელობის თეატრი უჩვენებს სეზონის პრემიერას ორდენოსანი დრამატურგის შალვა დადიანის კომედიას „გუშინდელნი“.

პიესის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ **ა. პატარიძეს**, მხატვრული გაფორმება ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **ირ. გამრეკელს**, მუსიკა კომპოზიტორ **შ. მშველიძეს**.

„გუშინდელნი“ ოქტომბრის რევოლუციის წინა ხანებშია დაწერილი.

რატომ შეაჩერა თავისი არჩევანი ამ პიესაზე რუსთაველის სახელობის თეატრმა? ამის მიზეზია კომედიის მაღალი იდეურ-მხატვრული ღირსებები და ის გარემოება, რომ ეს პიესა თავისი შინაარსით გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს თანამედროვე საბჭოთა მაყურებლისთვისაც.

„გუშინდელნი“ ასახავს ჩვენი სოფლის ცხოვრებას პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ეს ხანა წარმოადგენს შავბნელ პერიოდს რუსეთის მშრომელთა ცხოვრებაში, პერიოდს, როდესაც მთელი სიძლიერით მძვინვარებდა შავრაზმული ტერორი, როდესაც ...„მეფის მინისტრმა სტოლიპინმა ქვეყანა სახრჩობელებით დაჭფარა... სტოლიპინშჩინამ კიდევ უფრო გააუარესა მცირე მიწიანი გლეხებისა და სოფლის ღარიბთა მდგომარეობა“. („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ გვ. 118-119). ჩვენი ქვეყანა სოციალური და ნაციონალური მონობის უღელში იყო გაბმული, გლეხობა დარბეული, გაღატაკებული, დაბეჩავებული; ინტელიგენციის დიდი ნაწილი—დაქსაქსული და შეშინებული, მეფის პოლიციურ თვითმპყრობელურ ხელისუფლებასთან [illegible]. ბოლშევიკები ამ დროს [illegible] აგროვებდნენ ძალებს რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობისათვის, მაშინ როდესაც ლიბერალი მოღალატე მენშევიკები სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ რევოლუციას და მოითხოვდნენ პროლეტარიატის არალეგალური რევოლუციური პარტიის ლიკვიდაციას.

რუსთაველის თეატრმა წარსულ სეზონებში, გარდა თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლებისა, საბჭოთა მაყურებელს უჩვენა აგრეთვე მთელი რიგი ისტორიულ-რევოლუციური შინაარსის დადგმები, სადაც ასახულია ჩვენი ხალხის წარსული ცხოვრება. მათ შორის კომედია „გუშინდელნი“ უეჭველად დაიკავებს საპატიო ადგილს.

დამდგმელი-რეჟისორი და თეატრის კოლექტივი შეეცადნენ სწორად აესახათ ჩვენი რევოლუციამდელი ცხოვრების მთელი სიმახინჯე, ის გუშინდელი „გმირები“, რომლებიც სამუდამოდ ჩაბარდნენ ისტორიას.

საბჭოთა საზოგადოებრიობისა და თეატრალური კრიტიკის შეფასება გვიჩვენებს, თუ რამდენად სწორად შესძლო თეატრმა დასახული იდეურ-მხატვრული ამოცანის გადაჭრა.

* * *

პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ: სსრკ. სახ. არტისტი **აკ. ვასაძე** (თავადი კოწია), საქ. სსრ სახ. არტისტი **გ. დავითაშვილი** (მაზრის უფროსი), დამსახ. მსახ. **ე. აფხაიძე** (მამასახლისი), მსახ. **თ. ბაქრაძე** (კნეინა ჩიტუნია), მსახ. **ნ. ლაფაჩი** (ფაცია), **დ. ყაზაიშვილი** (ადიკო) და სხვ.

ლ. ა.

საბჭოთა მუსიკის დეკადის პირველი კონცერტები თბილისში

5 დეკემბერს თბილისში დაიწყო საბჭოთა მუსიკის დეკადა. პირველ კონცერტში, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა, მონაწილეობას იღებდნენ: საქართველოს ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი ორდენოსან შ. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით, ვოკალისტთა სრულიად-საკავშირო კონკურსის ლაურეატი დ. გამრეკელი და მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი გ. ედელმანი.

შესრულებულ იქნა: შ. აზმაიფარაშვილის სიმფონიური პოემა „ყვარლის მთებს“. კომპოზიტორ ნ. გოკიელის ვოკალური სიმფონიური ციკლი „სიყვარულზე“ პოეტების—ირ. აბაშიძისა და გრ. ცეცხლაძის ტექსტზე დაწერილი, კომპოზიტორ გრ. გაბიჩვაძის „სიმღერა სტალინზე“ კომპოზიტორ დ. შოსტაკოვიჩის კონცერტი როიალისა და ორკესტრისათვის და კომპოზიტორ ა. ხაჩატურიანის კონცერტი როიალისა და ორკესტრისათვის. სოლისტებად გამოვიდნენ დ. გამრეკელი და გ. ედელმანი.

მეორე კონცერტი გაიმართა 6 დეკემბერს და მიეძღვნა აზერბაიჯანის სსრ საბჭოთა კომპოზიტორებს. სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა აზერბაიჯანის ოპერის დირიჟორი ორდენოსანი ნიაზი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ორდენოსანმა ბულ-ბულმა და აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულმა მსახიობმა ორდენოსანმა ქნარიკ გრიგორიანმა.

დიდი წარმატებით შესრულდა ნაწყვეტები ოპერებიდან: კომპოზიტორ გლიერის „შაჰ-სენემიდან“, კომპოზიტორ უ. ჰაჯიბეკოვის „ქორ-ოღლიდან“, კომპოზიტორ მაჰომაევის „ნარგიზიდან“ და აგრეთვე კომპოზიტორ გლიერის ნაწარმოებები—„სტალინს“ და „სიმღერა სამშობლოზე“.

მესამე კონცერტი გაიმართება 11 დეკემბერს. შესრულებული იქნება ქართველი კომპოზიტორების—ი. ტუსკიას, ა. მაჭავარიანის, ო. ბარამიშვილისა და სხვ. ახალი ნაწარმოებები. (საქდესი).

უკანასკნელი ცნობები

ომი დასავლეთ ევროპაში

ბერლინი, 8 დეკემბერი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას:

„დასავლეთით ადგილი ჰქონდა მზვერავი რაზმების უმნიშვნელო ადგილობრივ მოქმედებას. ჩვენი ავიაციის მრავალმა შენაერთმა ზვერვითი ფრენა მოაწყო ჩრდილოეთ ზღვაზე, აგრეთვე შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

გერმანიის თვითმფრინავთა ესკადრილიაზე უშედეგო იერიში მიიტანეს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ფერტ-ოფ-ფორტის ყურის აღმოსავლეთით. იქიდან გამობრუნებული გერმანიის ერთი თვითმფრინავი მოტორის გაფუჭების გამო იძულებული გახდა წყალზე დაშვებულიყო. ეკიპაჟმა თავი გადაირჩინა გასაბერი ნავებით. მფრინავთა გადასარჩენად გაფრინდა საავარიო კომანდა“.

ინგლისელი მშრომელები იწონებენ სსრ კავშირის მოქმედებას

ლონდონი, 8 დეკემბერი (საქდესი). ინგლისის გაზეთი „დეილი უორკერი“ კვლავ აქვეყნებს რეზოლუციებს და იმ მკითხველთა წერილების ნაწყვეტებს, რომელნიც იწონებენ საბჭოთა კავშირის მოქმედებას ფინეთში. კერძოდ გაზეთი აღნიშნავს, რომ პონიგერდოში (სამხრეთ უელსი) გამართულ მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც დაგმობილია ომის იმ გამჩაღებელთა პროვოკაციული საქმიანობა, რომელნიც ფინელ ბანკირებსა და გენერლებს იყენებენ ომის გასაჩაღებლად სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ლეიბორისტული პარტიის ორგანიზაციის კომიტეტმა ტემუორსში (სტეფორდის საგრაფო) მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ინგლისის გაზეთ „დეილი ჰერალდის“ ანტისაბჭოთა ხაზის წინააღმდეგ. პადინგტონის (ლონდონი) პროფკავშირთა საბჭო და ლეიბორისტული პარტიის ორგანიზაცია ჰგმობს ინგლისისა და საფრანგეთის ომს გერმანიის წინააღმდეგ, როგორც იმპერიალისტურ ომს, და აცხადებს, რომ იმპერიალისტები მხილებული არიან იმაში, რომ მათ სურთ ეს ომი მიმართონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ფინელი მუშები ამერიკის შეერთებულ შტატებში იწონებენ სსრ კავშირის პოლიტიკას

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი (საქდესი). გაზეთ „დეილი უორკერის“ ცნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულმა „ფინელ-მუშათა ფედერაციამ“ განაცხადა, რომ ამერიკული პრესის ერთი ნაწილის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულმა ცილისმწამებლურმა კამპანიამ ვერ შეაცდინა ამერიკაში მცხოვრები ფინელი მუშები.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს ცნობა

ლონდონი, 8 დეკემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ავიაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „გუშინ ინგლისის სანაპირო დაცვის თვითმფრინავებს რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ მტრის თვითმფრინავებთან ჩრდილოეთ ზღვაზე. ინგლისის ერთერთმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა გერმანიის ჰიდროთვითმფრინავ „დორნიეზე“ და სერიოზულად დააზიანა იგი.

ინგლისის თვითმფრინავების მიერ ტყვიამფრქვევთა რამდენჯერმე დაშენამ დააზიანა გერმანიის მეორე ჰიდროთვითმფრინავის მოტორი. მაგრამ მან მოახერხა ღრუბლებში მიმალვა. ინგლისის ერთერთი თვითმფრინავი, რომელიც სადარაჯო სამსახურს ეწეოდა, თავის ბაზაში აღარ დაბრუნებულა. ჰფიქრობენ, რომ შესაძლოა, სწორედ ამ თვითმფრინავის შესახებ იყო ლაპარაკი გერმანიის უმაღლესი სარდლობის კომუნიკეში, სადაც ნათქვამი იყო, რომ ინგლისის ერთი თვითმფრინავი ბრძოლის დროს დაეჯახა გერმანიის თვითმფრინავს, რის შედეგადაც ორივე თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა“.

ინგლისის ავიაციის სამინისტრომ განაცხადა, რომ გუშინ, დღისით, მტრის რვა თვითმფრინავი მიუახლოვდა ინგლისის სანაპიროს ფერტ-ოფ-ფორტის ყურის რაიონში. ინგლისის ავიაგამანადგურებლები გერმანიის თვითმფრინავთა შესახვედრად გაფრინდნენ და უკუაქციეს ისინი. მტრის ერთი თვითმფრინავი, როგორც ჩანს, ჩამოგდებული იქნა. გერმანიის თვითმფრინავებს ყუმბარები არ ჩამოუყრიათ.

ინგლისის ავიაციის სამინისტრომ 1 დეკემბერს გამოაქვეყნა დაღუპულ ინგლისელ მფრინავთა მორიგი სია, რომელიც 48 გვარს შეიცავს, აღნიშნულია, რომ 33 კაცი მოჰკლეს, 3 უგზოუკვლოდ დაიკარგა და 12 კაცი ჰრილობისაგან გარდაიცვალა.

გეგმა გადაჭარბებით შეასრულეთ

ცხაკაია, 8 დეკემბერი (ტელეგრაფით). 8 დეკემბრისათვის ცხაკაიას რაიონმა ციტრუსების ნაყოფის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებულია 1.108.880 ცალი მანდარინი, გეგმის 100,8 პროცენტი, ფორთოხალი — 25.000 ცალი, ანუ გეგმის 120 პროცენტი.

დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომის მდივანი
შამუგია

რაიაღმასკომის თავმჯდომარე **ბურაია**

ბათუმის რაიონმა შეასრულა მანდარინის დამზადების გეგმა

ბათუმი, 8 დეკემბერი (საქდესი). აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 8 დეკემბრისათვის მოჰკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 274.525.700 მანდარინი, რაც წლიური გეგმის 82,2 პროცენტს შეადგენს. ამ დღისათვის ბათუმის რაიონმა შეასრულა მანდარინის დამზადების გეგმა. ჩაბარებულია 120 მილიონი მანდარინი.

აჭარის ციტრუსოვანთა პლანტაციებში დაიწყო ლიმონისა და ფორთოხლის მასობრივი კრეფა. მოკრეფილია უკვე 386 ათასი ლიმონი და 89 ათასი ფორთოხალი.

ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა შესრულებულია

ტყვარჩელი, 8 დეკემბერი (საქდესი). ტყვარჩელის სტალინის სახელობის მაღაროს მუშებმა, რომელნიც ტყიბულისა და დონბასის მეშახტეებს ეჯიბრებიან, ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა 8 დეკემბრისათვის შეასრულეს. ქვანახშირის სტახანოველმა ოსტატებმა—ხატუნცევმა, ზინჩენკომ და სხვებმა წლიური საწარმოო დავალება 200 და კიდევ მეტი პროცენტით შეასრულეს.

მაღაროს კოლექტივმა გააჩაღა ბრძოლა ქვანახშირის ამოღების შემდგომი აღმავლობისათვის.

ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება

სოხუმი, 8 დეკემბერი (საქდესი). 8 დეკემბრისათვის აფხაზეთის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ჩაბარებული აქვთ სახელმწიფოსათვის 82.852 ათასი ციტრუსოვანი ნაყოფი, რაც გეგმის 82,8 პროცენტს შეადგენს.

საბჭოთა მეურნეობა „ფსირცხის“ კოლექტივმა პირნათლად შეასრულა თავისი ვალდებულება სტალინური კონსტიტუციის დღისათვის ციტრუსოვანთა მოსავლის მოკრეფის გეგმის შესრულების შესახებ. მოკრეფილია 9.048.600 ციტრუსოვანი ნაყოფი ანუ გეგმის 101 პროცენტი.

მოსკოვს, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში გაიგზავნა 421 ვაგონი მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი.

ფეხბურთი

სტადიონზე

6 დეკემბერს, თბილისში, ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა საფინალო შეხვედრა ტრადიციულ რესპუბლიკურ ფეხბურთის გათამაშებისა „სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასზე“. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის გუნდი შეხვდა ბათუმის ნაკრებ გუნდს. თამაში მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2:1. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი.

ამავე დღეს სტადიონზე თბილისის „დინამოს“ ოსტატებმა ჩაატარეს ამხანაგური შეხვედრა თბილისის ნაკრებ გუნდთან და მოიგეს ანგარიშით 4:0.

დღეს თეატრებში

თეატრებში: სახოპერა—ტალ. № 63 „რიგოლეტო“; რუსთაველის სახელობის თეატრი—ტალონი № 63 „გუშინდელნი“; მარჯანიშვილის სახ. თეატრი—„შური“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ 1939 წლის 28 და 29 დეკემბერს ინსტიტუტის კლუბში (მარის ქ. № 33/35, კორპ. № 2), საღამოს 7 საათზე შესდგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომები, რომელზედაც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

28 დეკემბერს—I დოცენტი ი. ლ. აბაშიძე თემაზე: „ჭრები დასავლეთ საქართველოს სოჭნარ-წიფლნარ-ნაძვნარ კორომების ზოგიერთ ტიპებში“.

ოფიციალური ოპონენტები: 1) სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **ვ. გულისაშვილი**.
2) სოფ. მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატი დოც. **ლ. ჩიბურდანიძე**.

II უფროსი მეცნ. მუშაკი **დ. თორთლაძე** თემაზე: „მუხრანის საბჭოთა მეურნეობის ნიადაგები“.

ოფიციალური ოპონენტები: 1) სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **ვ. გულისაშვილი**.
2) სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოც. **მ. საბაშვილი**.

29 დეკემბერს—I ჩაისა და სუბტროპ. ინსტიტუტის უფრ. მეცნ. მუშაკი **გ. ნადარაია** თემაზე: „ლიმონების ინდივიდუალური შეფუთვნა, როგორც მეთოდი ყინვებისაგან დაცვისა“.

ოფიციალური ოპონენტები: 1) სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფ. **ტ. კვარაცხელია**.
2) სოფ. მეურნეობის მეცნ. კანდიდატი—დოც. **კელენჯერიძე**.

II საქ. თესლის საკონტროლო სადგურის თანამშრომელი აგრონომი **გ. ნ. მათვეევი** თემაზე: „სოიას ჯიშობრივი შემადგენლობა საქართველოში“.

ოფიციალური ოპონენტები: 1. სოფ. მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი პროფ. **ლ. დეკაპრელევიჩი**, 2. დოც. **გ. აბესაძე**.

მსურველებს შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

150 ინსტიტუტის დირექტორი: დოც. **ნ. გელაშვილი**.

ყურადღება!

1939 წლის 10 დეკემბერს ქ. მოსკოვში შესდგება 1938 წლის სახელმწიფო საშინაო მოგებიანი

სესხის მეცხრე ტირაჟი

ამ ტირაჟში გათამაშებული იქნება 11.360 მოგება, 7.668.800 მანეთის რაოდენობით.

მათ შორის:

8 მოგება	25.000 მანეთიანი
40 „	10.000 „
240 „	5.000 „
2400 „	1.000 „
8672 „	400 „

საქართველოს სსრ სახ. შრ. შემნახველი სალაროების და სახკრედიტის სამმართველო

792

საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

ბიტუმის ქარხნის ბალანსი 1939 წ. 1-ლი იანვრისათვის

(ათას მან.)

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	381	1	საწესდებო ფონდი	434
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	53	2	სხვადასხვა ფონდები და რეზერვები	14
3	მზა ნაწარმი და საქონელი	71	3	მოკლევადიანი სესხები	143
4	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	113	4	ანგარიშსწორებანი	92
5	ფულადი სახსრები	29	5	1938 წ. მოგება	12
6	ანგარიშსწორებანი	31			
7	მომავალი პერიოდის ხარჯები	17			
	ბალანსი...	695		ბალანსი...	695

1938 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

1	სხვადასხვა ზარალი	41	1	მოგება რეალიზაციით	49
2	მოგების სალდო	12	2	სხვადასხვა დანაგროვები	4
	ბალანსი...	53		ბალანსი...	53

დირექტორი **დ. შაფაქიძე**. მთ. ბუხჰალტერი **ტ. თალაკვაძე**.

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ ადგ. მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ (1939 წ. 22 თებერვლის დადგენილება № 1).

745 საქ. სსრ ადგ. მრეწვ. სახ კომისარიატის ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვოსკრესენსკი**.

საქ. სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

ქიმკომბინატის ბალანსი 1939 წლის 1-ლი იანვრისათვის

(ათას მან.)

	აქტივი			პასივი	
1	ძირითადი საშუალებანი	1651	1	საწესდებო ფონდი	1852
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	676	2	სხვადასხვა ფონდები და რეზერვები	47
3	დაუმთავრებელი წარმოება	78	3	ანგარიშსწორებანი	198
4	მზა ნაწარმი და საქონელი	387	4	1938 წ. მოგება	1386
5	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	180			
6	ფულადი სახსრები	104			
7	ანგარიშსწორებანი	49			
8	მომავალი პერიოდის ხარჯები	34			
9	განყენებული საშუალებანი	324			
	ბალანსი...	3483		ბალანსი...	3483

1938 წლის მოგება-ზარალის ანგარიში (ათას მან.)

1	სხვადასხვა ზარალი	96	1	მოგება რეალიზაციით	1452
2	მოგების სალდო	1386	2	სხვადასხვა დანაგროვები	30
	ბალანსი...	1482		ბალანსი...	1482

დირექტორი **ვ. კუბლაშვილი**. მთ. ბუხჰალტერი **ა. ახობაძე**.

ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ ადგ. მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ (1939 წ. 4 მაისის დადგენილება № 47).

738 საქ სსრ ადგ. მრეწვ სახ. კომ. ცენტრალური ბუხჰალტერიის უფროსი **ვოსკრესენსკი**.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვით მოლოტოვის სახელობის რაიონში გახსნილია უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი

კ უ რ ს ე ბ ი

(სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამედიცინო, სტომატოლოგიურ, ინდუსტრიულ და სხვა ინსტიტუტებში შემსვლელთათვის).

სწარმოებს მსმენელთა მიღება ქართულ და რუსულ სექტორებზე.

პირობების გაგება შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ყოველდღე კურსების შენობაში (საბჭოს ქ. № 17, მე-77 საშუალო სკოლის შენობა).

4103 **კურსების დირექცია.**

ექიმი
მძინარიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **სქესობრივი სისუსტე** (ელექტრონით მკურნალობა), კანის და ვენერიული სნეულებანი, ქალების და ბავშვთა გონორეა.

ავადმყოფების მიღება დილის 8–10 საათამდე და საღამოს 7–9 საათამდე, ქალებისა და ბავშვების – საღამოს 6—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 20, ბინა № 57 (მე-4 შესავალი. მე-2 სართული) 2875 5—5

თბილისის რკ. გზის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებლები გოცირიძე, ც. ჭყონია, მესხი, გაჩეჩილაძე, ბოკუჩავა, თ. ჭყონია, მანჯავიძე, კაპანაძე, შენგელია, გეგელაშვილი, იმნაძე იუწყებიან მასწავლებელ

ერმილე შარაშიძის

გარდაცვალებას. 4106

გიორგი იოსების-ძე დავითაშვილი იუწყება ძვირფასი დის

ბაბალე იოსების-ასულ კობაიძის

გარდაცვალებას. ს. ანანურში 5/XII გასვენება ს. სიონში. 4105

შვილები ლევან, თამარ, ნინო, ელენე, სიძე თომა კალანდაძე, რძალი ელენა ნათაძისა და შვილიშვილები იუწყებიან

ეკატერინე ივანეს-ასულ ნათაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/XII 7 ს. პლეხანოვის, 183. 4107

გოდერძიშვილი, ხუნდაძე, ურუშაძე, გორდელაძე, ლეჟავა, თოდრია, მურმანიძე, ვალიკო ტყეშელაძე, იორამაშვილი, ნიკოლეიშვილი, პარასტაევი, ლომიძე, ვაჭარაძე იუწყებიან მიშა ზაქარეიშვილის საყვარელი მამის

ბ ი ქ ტ ო რ ი ს

გარდაცვალებას. 4113

მეუღლე ოლღა, შვილი მიშა, რძალი სონია შვილებით, ძმები ვარდენ, სამუილ, რძლები ბულბულო, ოლია, ელენე იუწყებიან

ბიქტორ გიორგის-ძე ზაქარეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა საჭამიასერში 9/XII. 4104

ანისია ჩიქოვანისა მეუღლე დავითით, შვილით ზურაბით, ერმილე ალანია ცოლშვილით, ვ. გაბელია იუწყებიან საყვარელი დედის

ედუკია კონსტანტინეს-ასულ ალანიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 9/XII 7 ს. გამოსვენება 10/XII 4 ს. პეროვის, 5. კუკიის სასაფლაოზე. 4111

შვილი ელენე ქმრით თომა კალანდაძით, შვილით დოდოთი და სიძით ჟორა ჯუღელით იუწყება საყვარელი დედის

ეკატერინე ივანეს-ასულ ნათაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება საღამოს 4 ს. 30 წ. 10/XII. პლეხანოვის პრ., 183, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

დედა ბაბილინა, ძმები გრიგოლ, სიმონ, ილია, სოკრატ, ვალერიან, დები ჟულიეტა, აგრაფინა, ბიძა კონსტანტინე ცოლშვილით, სიძე გ. ბასილია შვილებით იუწყებიან

აკაკი მელიტონის-ძე კუკულავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ახალშენში (გურია) 10/XII. 4112

მეგობრები ელენე, ქეთო, ბიჭიკო ოსაძეები და ვერიკო კანდელაკი თანაგრძნობას უცხადებენ ნელი მარღანიას მისი მამის

მიხეილ გრიგოლის-ძე მარღანიას

გარდაცვალების გამო ქ. ოჩამჩირეში ა/წ. 4/XII.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ბ—601